საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000042255650620

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **10** **04 / მარტი / 2020 წ.**

განკარგულება

2019 წლის 21 ნოემბერს გამოცხადებული, ელექტრონული პირობიანი აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და მასზე დამაგრებული 1501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე 30%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე. გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 38-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს-**სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და მასზე დამაგრებული 1501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე 30%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების,** (ს/კ 50.50.27.31.020)

   ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური-7405(შვიდიათას ოთხას ხუთი) ლარის ოდენობით.

   - „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით - 2222 (ორიათას ორასოცდაორი) ლარის ოდენობით.
   - აუქციონის ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -741 ლარის ოდენობით.

2. პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული, პირობიანი აუქციონის წესით:
   - მიწის ნაკვეთზე სავალდებულოა განხორციელდეს არანაკლებ 50000(ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს სამი წლის ვადაში.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი